



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის დაბადებიდან  
90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო კონფერენცია



**პ რ ო გ რ ა მ ა   დ ა   თ ე ზ ი ს ე ბ ი**

9 ივნისი

თბილისი

2016

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი დარეჯან თვალთვაძე

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

ემერეტუს პროფესორი მერი ნიკოლაიშვილი

პროფესორი რამაზ ქურდაძე

ასოცირებული პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ასოცირებული პროფესორი მაია ლომია

ასოცირებული პროფესორი ქეთევან მარგიანი-სუბარი

რეგლამენტი:

მოხსენება პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოხსენება სექციის სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა: ქართული

11.30: 12.00

კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია

12.00

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 214-ე აუდიტორია)

პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის შეხვედრა

კოლეგებთან, სტუდენტებთან

მისალმებები, დიალოგი

13.30 :14.00

ფურშეტი

14.00 :16:30

კონფერენციის გახსნა

(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 214-ე აუდიტორია)

მისალმება - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი - ნანა გაფრინდაშვილი

პლენარული სხდომა

სხდომის თავმჯდომარე - ემერეტუს პროფესორი დამანა მელიქიშვილი

1. მზექალა შანიძე – რამდენიმე მხატვრული სახე ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში
2. თედო უთურგაძე – სამპირიან პირცვალებადობიექტებიან ზმნათა უღლებისათვის
3. დამანა მელიქიშვილი – „იონანე პეტრიწი - რიტორი და დიდასკალოსი - „მადლევებელი და მამზევებელი ენისა ჩუენისა“
4. რამაზ ქურდაძე – მაზალო სიტყვის ეტიმოლოგიისათვის
5. თინათინ ზოლქვაძე – საბჭოთა პოლიტიკა ენობრივ უმცირესობათა მიმართ

16.30 -18.30

## სექცია I

სექციის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი მაია ლომია  
(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 214-ე აუდიტორია)

1. რუსუდან ზექალაშვილი – ქართული ზმნის ვალენტობის ლექსიკონის შესახებ
2. მარია ჯიქია – თურქიზმების გავრცელების დინამიკა ქართველურ ან-თროპონიმიაში
3. ინგა სანიკიძე – კრებითი სახელისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი ქართულში
4. მედეა ღლონტი – ქართულ პირთა სახელების მართლწერისათვის (ინიციალები ქართულში)
5. მაია ლომია – „ეკონომიურობის პრინციპი“ ენაში და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა სახეები სპონტანურ მეტყველებაში

16.30 -19.00

## სექცია II

სექციის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი  
ქეთევან მარგიანი-სუბარი  
(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 24-ე აუდიტორია)

1. როზეტა გუჯეჯიანი – ისტორიის რეპრეზენტაცია და სვანეთის ტრადიციული ყოფა – „თამარ დედფალ“
2. ქეთევან მარგიანი-სუბარი – I თურმეობითის (resp. შედეგობითის) უპრევერბო ფორმათა სპეციფიკა სვანურ ენაში
3. მედეა საღლიანი – აწმყოს ფუძის წარმოებისათვის სვანურში (ფონო-სემანტიკური მასალის საფუძველზე)
4. ქეთევან მარგიანი – დალის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის
5. მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა – სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურში
6. რევაზ აბაშია – ქართველური ეტიმოლოგიები. IV

16.30 -19.00

### სექცია III

სექციის თავმჯდომარე - დოქტორი გიორგი ცოცანიძე  
(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 323-ე აუდიტორია)

1. ცირა ბარამიძე – რედუპლიცირებულ ფუმეტა ფორმანტების გენეზისის სისტემის
2. გიორგი ცოცანიძე – ქეთელაურიდან ნასკვაურიძემდე ანუ ზოგი რამ, რაც იკითხება ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს მიღმა
3. ნიკოლოზ ოთინაშვილი – სოფელ ძვილეტის ონომასტიკური მასალები
4. მერაბ ნაჭყებია, თამილა ზვიადაძე – მასალები დასავლეთ საქართველოს (ზემო იმერეთი) ტრადიციული დარგობრივი ლექსიკიდან
5. იგორ კეკელია – აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის
6. ნონა ქეცბაია – ეზო-კართან დაკავშირებული ლექსიკისათვის მეგრულში

16.30 -18.30

### სექცია IV

სექციის თავმჯდომარე - ასოცირებული პროფესორი სალომე ოშიაძე  
(ილია ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი, 219-ე აუდიტორია)

1. ანა ხარანაული – სექტუაგინტას ტექსტის ტიპები და ქართული თარგმანი
2. სალომე ოშიაძე – სარწმუნოებრივი შრე პარემიულ ერთეულთა შინაფორმაში
3. ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია – ფრაზეოლოგია როგორც რეალიათა ასახვა /ფრანგული და ქართული ენების მასალაზე/
4. მანანა ჩაჩანიძე, ნინო ხახიაშვილი, ნატა რაზმაძე – სინონიმური რიგის საკითხისათვის ქართულ ლექსიკოგრაფიაში



# თ ე ზ ი ს ე ბ ი

## რევაზ აბაშია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ქართველური ეტიმოლოგიები. IV

ძველსა და ახალ ქართულში დასტურდება ერთგვარად უცნაური წარმოების ფუძეები, რომლებშიც აფიქსები გვხვდება – სხვადასხვა ფუნქციის პრეფიქსებიცა და სუფიქსებიც, მაგრამ ძირი კი არა ჩანს. რამდენიმე ასეთი ფუძე გამოვლენილი აქვს არნ. ჩიქობავას, კერძოდ: მ-აღ-აღ-ი, უ-აღ-რე-ს-ი, წარ-მო-ება.

ვფიქრობთ, ქართულსა და, საერთოდ, ქართველურ ენებში ანალოგიური სხვა ფუძეც (ფუძეებიც) გვხვდება, რომელთა გამოვლენას ამ ფუძეთა ეტიმოლოგიური ანალიზი შეგვადმლებინებს.

ამ მხრივ საინტერესოა ლექსემა სულ (სულ მთლად, სულ ცოტა, სულ მუდამ, სუყველა სულ ყველა, სულ-ად-აც), რომელიც წარმოადგენს მასდარის ოდინდელი ს-პრეფიქსითა და მიმლეობის –ულ სუფიქსით შედგენილ ფუძეს, სადაც ძირი არა ჩანს. სულ მომდინარეობს სრულ ფორმისაგან, რომელშიც სწორედ დაკარგული ვალ ძირის ლ ნაშთის დისიმილირებული რ ელემენტი დაჩნდება: ს-ულ←ს-რ-ულ ← \* ს-ლ-ულ ← \*ს-ვლ-ულ ← \*ს-ვალ-ულ. ს-ულ ფუძის ს-ვლ-ა ზმნასთან ეტიმოლოგიური კავშირი სხვა „უძირო“ ლექსიკურ ერთეულსაც გამოავლენს, კერძოდ, წასულ ლექსემაში, რომელიც მომდინარეობს ძველ ქართულში დადასტურებული წასრულ ფუძისაგან (შემდეგი ეტიმოლოგიური სეგმენტაციით: წა-ს-რ-ულ ← \*წა-ს-ლ-ულ ← \*წა-ს-ვლ-ულ...), ძირი არა ჩანს. ძირი არ ჩანს ამ ფუძის სხვა ზმნისწინიან ფორმებშიც: გა-ს-ულ-ი, მო-სულ-ი, გარ-და-ს-ულ-ი...

ვალ ქართული ენის უძველესი ლექსიკური ფონდის ერთ-ერთი ძირეული სიტყვაა და ამიტომ მოულოდნელი არაა მისგან წარ-

მოქმნილი ფუძეებისა და დროთა განმავლობაში სემანტიკური გადაწვევების შედეგად მიღებული ლექსიკური ერთეულების სიმრავლე, რაზეც მათი ერთი ნაწილის, ქვემოთ ჩამოთვლილი ლექსემების, ძველსა და ახალ ქართულში პოვნისებაც მეტყველებს:

აღსრულება, აღსასრული, გა(ნ)სრულება, დასასრული, დასრულება, მისრულება, მოსრულება, სისრულე, უსრული, შესრულება, წარსული, წასრული, წასული... ასევე: სრულად, სრულიად, სრულებით, სულმცირედ, სრულქმნა, სრულყოფა და სხვა.

საინტერესოა, რომ სულ, სულ-ად, სრულ, სრულ-ად ფუძეს ზანურში მოეპოვება კანონზომიერი შესატყვისი შურ-ო, შურ-ოთ „სრულიად“ ფუძის სახით, სადაც ასევე ეტიმოლოგიური სემანტიკის შედეგად – შ-ურ-ო – ირკვევა, რომ მხოლოდ აფიქსებია წარმოდგენილი და ძირი კი არა გვაქვს.

ქართული ს-ულ/ს-ულ-ად : ზანური შ-ურ-ო/შ-ურ-ოთ შესატყვისობა საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ქართულ-ზანურ პრეფიქსთა სისინა:შიშინა (ს:შ) შესატყვისობის სხვა მაგალითი ჯერჯერობით გამოვლენილი არ არის.

სვანურში საანალიზო ფუძის შესატყვისად ჰ. ფენრიხი სურ-უ „ძლიერ, მთლიანადო ფუძეს ვარაუდობს, თუმცა, ვფიქრობთ, სვანურში, ისევე როგორც ზანურის სისინასპირანტიან ფორმებში (სრულ-ი, რსულ-ი, რსულ-ო, „სულ, სრულიადო), ქართულიდან შესული ფუძე უფრო უნდა იყოს, ვიდრე შესატყვისი.

ზემოთ განხილულ ფუძეთა ბგერათშესატყვისობის საფუძველზე, ვფიქრობთ, საერთოქართველური ფუძე-ენის გარკვეულ საფეხურზე სავარაუდებელია \*ს-ულ/ \*ს-რ-ულ/ \*ს-რ-ულ-ად არქტიპების დაშვება, რაც, მეორე მხრივ, ფუძე-ენის უფრო ადრინდელ ეტაპზე \*ს-ლ-ულ /\* ს-ვლ-ულ /\* ს-ვალ-ულ არქტიპთა არსებობას გულისხმობს.

მოხსენებაში გათვალისწინებულია ასევე ქართულ ვალ ზმნურ ძირთან ძველი ქართული ვედ/ვიდ (სემანტიკით: ვ-ედ/ვ-იდ), გუალ – („წასვლა; მოსვლა; ადგომა; რბენა“), ზანური გვალ – (გვალ-ო; გვალ-ე; გვალ-ას „სულ, სრულადო) ფუძეთა ეტიმოლოგიური კავშირისა და ზოგიერთი „უძიროო ფუძის შესახებ მსჯელობა.



## ციური ახვლედიანი, ქეთევან გაბუნია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ფრაზეოლოგია, როგორც რეალიათა ასახვა /ფრანგული და ქართული ენების მასალაზე/

ფრაზეოლოგიზმები გამოიყენება ყოველდღიურ საუბარში, მხატვრულ ნაწარმოებებში, პუბლიცისტიკაში. ისინი მეტ გამომხატველობას ანიჭებენ საუბარს და წარმოადგენენ ხატოვანების შექმნის საშუალებებს. მათ გააჩნიათ თავიანთი სპეციფიკა ყოველ ენაში, ასახავენ ნაციონალურ მენტალიტეტს და მიუთითებენ ერის ცნობიერებაზე. პრაქტიკული თვალსაზრისით, ფრაზეოლოგიის ფლობა აიოლებს ავთენტური მეტყველების გაგებას, ასევე ურთიერთობას, რადგან უფრო მეტ ბუნებრიობას სძენს მას, აზრის გამოხატვის საშუალებების ვარიანტების გზით. უცხოური ენის შესწავლის თვალსაზრისით, აუცილებელია ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა. უცხოური ენის შესწავლისას, ბევრ სირთულეს ვხვდებით ისეთი ავთენტური ტექსტების გაგების თვალსაზრისით, რომლებიც შეიცავენ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს, ანდაზებს, თქმებსა და შედარებებს. ფრაზეოლოგიის მჭიდრო კავშირი ამა თუ იმ ხალხის ისტორიასთან, კულტურასა და ყოფასთან საყოველთაოდ ცნობილია, რადგან იგი განასახიერებს ამ ხალხის სულს, ფსიქოლოგიასა და აზროვნების საშუალებებს. ერთი ენის ფრაზეოლოგიის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა ნათლად ვლინდება სხვა ენის მყარ შესიტყვებებთან შეპირისპირებისას. ნაშრომში წარმოდგენილია ტიპოლოგიურად განსხვავებული ენების – ფრანგული და ქართული ენების ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შედარება-შეპირისპირება. განსხვავებული სტრუქტურების მქონე ენების ფრაზეოლოგიური უნივერსალიებისა და ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სპეციფიკის ურთიერთქმედების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ლინგვისტიკის ზოგადი თეორიისათვის, ასევე უცხოური ენის სწავლების მეთოდიკისათვისაც. ფრაზეოლოგიური ერთეულების ფლობა საგრძნობლად აადვილებს ფრაზეოლოგიზმების შემცველი ტექსტების აღქმას, ავითარებს ინტერფერენციის დამღვევის უნარს ლექსიკურ-გრამატიკული ფორმების დონეზე, ასევე ხელს უწყობს დიალოგის სწორად წარმართვას.

## ცირა ბარამიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### რედუპლიცირებულ ფუძეთა ფორმანტების გენეზისისთვის (-ეტ / -ედ)

ქართული ენის ცალკეულ ფუძეში ხერხდება -ეტ (/ -იტ) სუფიქსის გამოყოფა (მაგალითად: ხვრ-ეტ- / ხვრ-იტ-, ჭყლ-ეტ- / ჭყლ-იტ-). -ეტ (/ -იტ) სუფიქსის გამოყოფა ამ არგუმენტით სარწმუნოა რედუპლიცირებულ ფუძეებში:

ქართ. ჩერჩეტ-ი < \*ჩერ-ჩერ-ეტ-ი

ქართ. ქერქეტ-ი < \*ქერ-ქერ-ეტ-ი

ქართ. კერკეტ-ი < \*კერ-კერ-ეტ-ი

რედუპლიცირებულ ფუძეთა ამგვარი ანალიზი პირველადაა წარმოდგენილი წინამდებარე მოხსენებაში. წარმოების თვალსაზრისით, რედუპლიცირებული ფუძეები მეორეულია, გვიანდელია. ჩვენი ვარაუდით, -ეტ / -ედ სუფიქსები მცირერიცხოვან რედუპლიცირებულ ფუძეებშია წარმოდგენილი. -ეტ/-ედ ფორმანტების გენეზისი ასეთია: საერთოქართველურში - \*ეტ, რომლის დამლის შედეგად ქართულში გვაქვს -ეტ, ზანურში -ატ :

\*-ეტ < ქართ. -ეტ, ზან. -ატ:

ქართ. ჭყლ-ეტ-ა / ჭყლ-იტ-ა ზან. ჭყილ-ატ-უა / ოჭყილ-იტ-უ „ჭყლეტა“;

ქართ. ხვრ-ეტ-ა / ხვრ-იტ-ა ზან. ხირ-ატ-უა / ოხირ-იტ-უ „გახვრეტა“, სემანტიკური გადაწვეით: „გახლეჩა“.

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ \*-ეტ < ქართ. -ეტ, ზან. -ატ ფორმანტებს ქართველურ ენა-კილოებში მოეპოვება ფონეტიკური შესატყვისობა:

\*-ტ > -დ > -ჯ:

დ-ს ჯ-ში გადასვლის მაგალითი (აფრიკატიზაცია) ცოტაა, მაგრამ მაინც დასტურდება (შდრ., ქართ. ხიდ-ი, ზან. ხი(ნ)ჯ-ი; ძვ. ქართ. ღერ-ღერ-ედ-ი > მეგრ. ღორღონჯ-ი < \*ღორ-ღორ-ო(ნ)ჯ-ი „ბატი“; რ > დ > ჯ: ქართ. ცვარ-ი, ზან. ცუ(ნ)დ-ი / ცუ(ნ)ჯ-ი).

მოხსენებაში გაანალიზებულია რედუპლიცირებულ ფუძეთა ფორმანტების გენეზისის შესაბამისი ემპირიული მასალა.

## თინათინ ბოლქვაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### საბჭოთა პოლიტიკა ენობრივ უმცირესობათა მიმართ

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული იყო როგორც ენობრივი უმცირესობის ცნების გაგება, ისე დამოკიდებულება ამგვარი ენობრივი კოლექტივების მიმართ. საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის პირველ პერიოდში, როცა გამოცხადებული იყო ერთა თანასწორობა, ყველა ენისთვის და ეთნიკური ჯგუფისთვის შეიქმნა ანბანები, შეირჩა დიალექტები სალიტერატურო ენებისათვის, რაც დიამეტრალურად შეიცვალა საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის მეორე ე. წ. „ახალი წონასწორობის“ პერიოდში.

„ახალი წონასწორობის“ პოლიტიკის გატარებისას ნაციონალიზმის უფლება მიეცა რეგლამენტირებული რაოდენობის ხალხებს. ამ დროს დაიწყო, ენათა საბოლოო შერწყმის მიზნით, მათი დაახლოების სტალინური პოლიტიკა. ეს პოლიტიკა გაგრძელდა სამოციან წლებამდე, როცა ძირითად მიზნად გამოცხადდა ყოველი საბჭოთა მოქალაქისათვის სტაბილური ბილინგვიზმის მიღწევა.

ორი ენიდან ერთი აუცილებლად უნდა ყოფილიყო რუსული, რასაც განაპირობებდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მიზნები, არამედ თავად მოქალაქეების სოციალური და კულტურული აქტივობის სურვილი.

საბჭოთა ენობრივი პოლიტიკის შედეგები განხილული იქნება საქართველოს და რამდენიმე სხვა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის მაგალითზე.

## როზეტა გუჯეჯიანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ისტორიის რეპრეზენტაცია და სვანეთის ტრადიციული ყოფა – „თამარ დედფალ“

ქართული ეროვნული კულტურის განვითარების მრავალსაუკუნოვანი დინამიკა ავლენს ისტორიის რეპრეზენტაციის არაერთ ფაქტს და მოტივს. საქართველოში ისტორიული მახსოვრობის შრეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობს და ამ შრეების სიცოცხლისუნარიანობით განპირობებულია ტრადიციული მსოფლხედვის მრავალი ასპექტი.

საქართველო მწიგნობრობის თვალსაჩინო კერაა და ქართველთა ისტორიულ მახსოვრობაში, ბუნებრივია, შემონახულია ნარატივებიდან (მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“) გადასული ინფორმაცია.

ქართველთა ისტორიული მახსოვრობა მკაფიოდ ინახავს წმიდა თამარ მეფესთან დაკავშირებულ სიუჟეტებს და მოტივებს. მდიდარი მასალა შემონახულია საქართველოს ყველა მხარეში და მის ფარგლებს გარეთაც – ისტორიული საქართველოს მხარეებში და კავკასიონის ქედს გადაღმაც (მაგალითად, ყარაჩაელთა და მალყართა შორის). ისტორიის რეპრეზენტაციის ფაქტორი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ქართველ მთიელთა შორის და განსაკუთრებით მრავალფეროვანი მასალა სვანეთშია დადასტურებული.

სვანეთის ყოფა ინახავს თამარ მეფესთან დაკავშირებული ისტორიული მახსოვრობის შემდეგ სიუჟეტებს: თამარ მეფის დროს სვანეთი იყო „ხევი ბედნიერი“; თამარ მეფეს განსაკუთრებით უყვარდა სვანეთი; თამარ მეფემ სვანეთში უამრავი ეკლესია-მონასტერი, ციხე-დარბაზი და საგუმბაგო კოშკი აღმართა; თამარ მეფემ გაიყვანა და კეთილმოაწყო სვანეთის გზები; თამარ მეფემ სვანეთის ეკლესიებს დიდძალი ჯვარ-ხატი შესწირა; თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა სვანეთში (ჯორკვალი, ლახამი, ეცერი, ივარი, უშგული..); თამარ მეფის ლაშქარში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სვანი მოლაშქრეები; თამარ მეფემ აკურთხა სვანეთის საერისთავო დროშა „ლემი“ და უბოძა იგი სეტის მთავარმოწამეს სვანი მეომრების მიერ გამოჩენილი გმი-

რობისათვის; თამარ მეფე სასწაულებრივი მკურნალი იყო; ლეგენდა-გადმოცემებში მოჩანს თამარ მეფის ბიოგრაფიის ანარეკლი: დემნა ბატონიშვილის შეთქმულება, გიორგი რუსის აჯანყება, „ხონთქარის“ ძლიერი ლაშქრის შემოჭრა, მეფის საფლავის გაუჩინარება; უმთავრესია ლეგენდა, რომ თამარ მეფე დაკრძალულია სვანეთში და ა. შ.

რასაკვირველია, სვანეთში შემონახული ისტორიული მახსოვრობის ზოგიერთი ფაქტი გავრცელებულია საქართველოს სხვა მხარეებშიც, თუმცა სვანურ მასალაში მნიშვნელოვანი ადგილობრივი, ლოკალური ინფორმაციაც არის ასახული.

წმიდა თამარ მეფის (სვანურად, *თამარ დედფალ*) წმიდანობის, ცხოვრებისა და ღვაწლის ეთნოგრაფიული კვლევით მოპოვებული ისტორიული სიუჟეტები ზოგჯერ დაცილებულია კონკრეტულ ისტორიულ გარემოსა და დროს, მაგრამ ეს ბუნებრივია, რადგან ისტორიული მახსოვრობა ხასიათდება კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლების გაფერმკრთალებითა და ზოგჯერ, გაქრობითაც. ისტორიული მახსოვრობა ინახავს მხოლოდ მთავარ და არსობრივად მნიშვნელოვან ფაქტებს, რომლებიც, დროთა განმავლობაში, მითოსური ელფერით იმოსება და მითოსური სახეებით შებურვილი საისტორიო სიუჟეტები გადადის თაობიდან თაობაში ყოფის განუყოფელ, ორგანულ ნაწილად.

წმიდა თამარ მეფის ხატება სვანეთის ტრადიციული ყოფის ის უმთავრესი მოტივია, რაც ქართველ მთიელს ეროვნული სიამაყისა და ისტორიის შექმნაში თანამონაწილეობისა განცდას უჩენს. ისტორიის რეპრეზენტაცია ასაზრდოებს ეთნოსის შიგნით ეროვნული ისტორიის მუდმივად განახლების იმპულსებს.

## რუსუდან ზექალაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ქართული ზმნის ვალენტობის ლექსიკონის შესახებ

ვალენტობის ცნება ევროპულ ლინგვისტიკაში დაკავშირებულია ფრანგი ენათმეცნიერის ლუსიენ ტენიერის სახელთან, რომელმაც ამ ტერმინით აღნიშნა ზმნის უნარი, დაიკავშიროს აქტანტთა გარკვეული რაოდენობა. მეცნიერმა გამოყო ავალენტური, ერთ-, ორ- და სამვალენტური ზმნები და აღწერა ვალენტობის ცვლილების შესაძლებლობა (გვარის, უკუქცევითობის, კაუზატიური კონსტრუქციის მეშვეობით). ს. კაცნელსონმა ვალენტობის ცნება გამოიყენა ყველა მეტყველების ნაწილის მიმართ. თანამედროვე ლინგვისტიკაში კი გამოყოფენ ვალენტობის რამდენიმე სახეობას: სემანტიკურს, ლექსიკურს, მორფოლოგიურსა და სინტაქსურს.

ყველაზე აქტუალური ენათმეცნიერებაში მაინც რჩება ზმნების ვალენტობა. ენათა შორის ამ თვალსაზრისით შეინიშნება მსგავსებაც და განსხვავებაც. სხვაობა ნაკლებად მოსალოდნელია ზმნის სიღრმისეულ სტრუქტურაში, ის თავს იჩენს ზედაპირულ სტრუქტურაში: სინტაქსურ ვალენტობასა და პირიანობაში.

ენის კვლევის ტრადიციული და ახლებური მიდგომა ერთმანეთს ავსებს გ. ჰელბიგის ვალენტურ თეორიაში, რომლის მიხედვითაც, გამოიყოფა ზმნის ვალენტობის სამსაფეხუროვანი სისტემა: პირველ საფეხურზე – ზმნის კვანტიტატიური ვალენტობა, მეორეზე – კვალიტატიური ვალენტობა, მესამეზე კი – აქტანტთა სუბკატეგორიზაცია. წინადადების სტრუქტურული ცენტრად მიჩნეულია ზმნა (resp. შემასმენელი), ხოლო დანარჩენი წევრები ჯგუფდება იერარქიულად: პირველი რანგისაა: სუბიექტი, პრედიკატივი (შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი), ობლიგატორული (აუცილებელი) ან ფაკულტატიური დამატებები (პირდაპირი, ირიბი და წინდებულიანი) და ზმნის სემანტიკით განპირობებული ობლიგატორული გარემოება; მეორე რანგს განეკუთვნება პირველი რანგის წევრთა განსაზღვრებები და თავისუფალი მიცემითი; მესამე და მეოთხე რანგებს, შესაბამისად, ერთი რანგით წინ მდგომი წევრების განსაზღვრებები.

ჰელბიგის შეხედულების მისადაგება მცირეოდენი კორექტირებით შესაძლებელია ქართული ენის მიმართაც. ქართული ზმნის განხილვა ვალენტობის თეორიის მიხედვით მოამზადებს საფუძველს ვალენტობის ლექსიკონის შესადგენად, რაც საშური საქმეა. ანალოგიური ლექსიკონები სხვა ენებში კარგა ხანია არსებობს. ამ ტიპის ლექსიკონის შესადგენად გასათვალისწინებელია, რომ ქართულ ზმნას შეიძლება ჰქონდეს აუცილებელი და ფაკულტატიური ვალენტობა. ჩვენი ენის სპეციფიკად შეიძლება მივიჩნიოთ აუცილებელ (ობლიგატორულ) ვალენტობაში კოორდინაციით დაკავშირებული წევრების (სუბიექტისა და პირმომართი ობიექტების) გამოყოფა. თუკი ზმნის სემანტიკა მოითხოვს, ვალენტობაში უნდა აისახოს პირმიუმართავი დამატებაც. ფაკულტატიური ვალენტობა ზმნის შეხამების უნარი თავისუფალ წევრებთან ანუ უბრალო დამატებასა და გარემოებებთან.

ზმნების ვალენტობის ლექსიკონში საჭიროა აქტანტების სახეობისა (სულიერი/უსული, აბსტრაქტული/კონკრეტული და სხვ.) და შუალობითი მართვით დაკავშირებული წევრის მითითება.

## მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკავა

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურში

სირცხვილის გაგება განსხვავებულია არა მხოლოდ სხვადასხვა კულტურაში, არამედ ერთსა და იმავე კულტურულ სივრცეში სხვადასხვა პერიოდში. სირცხვილის მნიშვნელობა ქართულში დაკავშირებულია სინდისსა და ნამუსთან. სინდისი საკუთარი საქციელის ავ-კარგიანობის შინაგან შეფასებას, საკუთარი ყოფაქცევისათვის ზნეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობას, პატიოსნებას აღნიშნავს (ქეგლ 1986: 408). საბას განმარტებით კი, სირცხვილი „შიში ბილწებისა რისამე საქმესა ზედა და არცა ესე უსასო არს ცხოვრებისაგან“ (ორბელიანი 1993: 303). აღსანიშნავია, რომ ქართულში სირცხვილის ფუძისგან

ნაწარმოები შერცხვენა შეურაცხყოფას, გაუპატიურებას, სახელის გატებას ნიშნავს. შეურაცხყოფილ ადამიანს შერცხვენილს უწოდებენ (იაკობიძე: გვ. 104).

სალიტერატურო ქართულთან მიმართებით უაღრესად საინტერესოა სირცხვილის კონცეპტი ზოგადად, სირცხვილის გამომხატველი ლექსემები და ფრაზეოლოგიზმები ქართველურ ენებში; მეგრულსა და ლაზურში სირცხვილის აღმნიშვნელია ლექსემა **ონჯღორე**, რომელიც ცალკე ერთეულადაც გვხვდება წინადადებებში და შესიტყვების ნაწილადაც. მაგ. მეგრულში: **ონჯღორე** - სირცხილი; **ონჯღორე უჩქუ** - რცხვენია (სირცხვილი იცის), იმავე მნიშვნელობისაა **ონჯღორე აფუ** - სირცხვილი აქვს, **ონჯღორეთ ღურუ** - სირცხვილით კვდება; **ონჯღორემ ნავილა** - სირცხვილით მკვდარი (სირცხვილის მოკლული); **ონჯღორე ვა ჭკუმას** - არ შერცხვეს (სირცხვილი არ ჭამოს) და ა.შ. მეგრულში სირცხვილის აღმნიშვნელი ფრაზეოლოგიზმებიც გვხვდება. მაგ., **დუს ლაფი გეწუმილი** - თავს ლაფდასხმული (შერცხვენილი).

ლაზურში : **ონჯღორე ავენ** - რცხვენია (სირცხვილი ექმნება); **ონჯღორე გეიტალამს** - შეგრცხვება (სირცხვილში ჩავარდები, სირცხვილი დაგეცემა); **ონჯღორეთე ღუალეფე გამჭითასენ** - სირცხვილისგან ლოყები გაუწითლდება და სხვ. მეგრულ-ლაზურში **ონჯღორე** ძირისგან იწარმოება სახელური და ზმნური ფორმები : მეგრ. - **უონჯღორო** (უსირცხვილო) და **საონჯღორო** (სამარცხვინო), **ოონჯღორუ** (რცხვენია)... ლაზ. - **ონჯღორიარი** - დარცხვენილი (სირცხვილიანი), **უონჯღორიარ** (უსირცხვილო)...

სვანურში გვხვდება სირცხვილთან დაკავშირებული შემდეგი ფრაზეოლოგია: **შგჷირ** „სირცხვილი“, **შგურჷლ** „სირცხვილიანი, ლეშგჷირდმესდე „შერცხვენილი“, **კინჩხი ქჷჷცა** „თავის (კისრის) მოჭრა“, **კინჩხილექვეცე** „თავმოსაჭრელი“, **საყობელდ მესდე** „სამარცხვინოდ ქმნილი, შერცხვენილი“, **ღირსებამეკდე** „პატივყარილი“, **შგჷირიჷახე** „სირცხვილ-ნამუსი“, **უხჷშკა** „უხიაგი, მდგომარეობა, როდესაც ადამიანს არაფრის რცხვენია“, **ლუშგჷირ** „მორცხვი“, **ლიშგურჷლ** „სიმორცხვე, მორცხვობა“, **გიმს ლიყფენე** „მიწასთან გასწორება“, **გიმს ლყფენე** „მიწასთან გასწორებული, შერცხვენილი“, **მიშგუ ფაყჷ** გიმს **უჷ ხჷიხა, ჰჷსა...** „შევრცხვენილიყავი, ჩემი ქუდი მიწასამც დანარცხებია, თუკი...“, **ლეშგჷირ** „სამარცხვინო, სასირცხვილო, შემარ-



ცხვენელი, შესარცხვენნი; ვინც, რაც სირცხვილს იწვევს“, კინჩხი-მუქტვცე „მარცხუნელი“, ყორქა ლაჯად ჟიმეშდხე ხარ „თავლაფდას-ხმული, ლაფდასხმული, რაც საჯაროდ შერცხვენილს, შეურაცხყოფილს ნიშნავს“.

როგორც ცნობილია, კონცეპტი მიეკუთვნება ნაციონალურ ენობრივ ცნობიერებას, იგი ენისა და აზრის ერთიანობაა, რომელიც ასახავს იდეალური ან რეალური სამყაროს საგანს (მოვლენას) და იწინა-ხავს ენის ნაციონალურ მეხსიერებაში ვერბალური აღმნიშვნელის სახით. შესაბამისად, სირცხვილის კონცეპტი ქართველურ ენებში, სირცხვილთან დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები რამდენადმე განსხვავებულია სალიტერატურო ქართულისაგან.

## იგორ კეკელია

*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი*

### აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის

გუფი. „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდ დავთარში“ მოხსენებულ სოფელ გუფუში იგულისხმება ოჩამჩირის რაიონში, სამურზაყანოს დაბლობზე, დალიძის მარჯვენა ნაპირას მდებარე სოფ. გუფუ. გუფაგუ აგრეთვე სოფელია კოდორის ქედის სამხრეთ მთისწინეთზე, მდ. მოქვის მარცხენა ნაპირას. ვ. ზუხბაიას მსჯელობით, გუფი ადრე ქართულ სახელს – გუბს ატარებდა. სახელწოდება ამ ფორმით დასახელებული აქვთ დიუბუა დე მონპერეს და კუდრიავეცეს. გუფი//გუბი მეგრულში აღნიშნავს გუბეს. გუბანა იგივეა, რაც „ტბორი, გუბე, დაგუბების ადგილი“; გუბორი ეწოდება „შემადლებულ წყლისპირს“; „საგუბარს, გუბურას“; გუფილი „დაგუბებულია“, გუფუა – „გუბვა, დაგუბება“; „ბლომად სმა (პირში ჩაგუბებით)“ (ა. ქობალია). შდრ.: „ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონის“ მიხედვით თალიანი ფორმის, ლერწმისაგან „შეკერილ“ ნავს გუფა ეწოდება (ქელ, 2009: 34). „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ გუბე განმარტებულია როგორც მცირედ ჩაღრმავებულ ადგილას დამდგარი წყალი.

ერწყარი ოქუმის მარცხენა შენაკადს წარმოადგენს. კ. ცხადაი-ას მოსაზრებით, ლამბერტის თხზულებაში მოხსენიებული ხეთი (Hetii) და მასზე დართულ, 1654 წლის რუკაზე აღნიშნული Heti-scari იგივე ერ(ი)წყარია. ერისწყალი (ერწყარი) სათავეს იღებს ერთიშში. ასე ეწოდება ხეობას და ტყე-სამოვრებს გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღვარზე. მდინარის ზემო წელი ამ ორი რაიონის საზღვარს წარმოადგენს. ერწყარპიჯები//ზენი – ასე იწოდებოდა ვაკე-სახნავები და სამოსახლოები ერწყარის ნაპირებზე, ხოლო მას შემდეგ, რაც მდინარის შუა წელი კაშხლით გადაიკეტა, აღნიშნული ტერიტორია გალის წყალსაცავში მოექცა (პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა).

კ. სამუშიას აზრით, ერისწყალი ერისთავის წყლის შემოკლებული ფორმაა, რაც ნაკლებ დამაჯერებელი ჩანს. ვ. ზუხბაია ასახელებს ერისწყალს და პარალელურ ფორმას – ერთიში წყარი, და შენიშნავს, რომ ამ მდინარემ სახელი რამდენჯერმე შეიცვალა. II საუკუნის მოღვაწე არიანე მას სინგამეს უწოდებს, იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი - ჰეტიწყარს, ვახუშტი ბატონიშვილი - დადისწყალს, ა. ლეონიდი - დადისს, და იქვე დასძენს: ამჯერად მდინარის სახელწოდებაა ერისწყალი. „იგი ნამდვილად ამართლებს თავის სახელწოდებას. ერს ემსახურება“ (ვ. ზუხბაია). არც ეს განმარტებაა რეალური. ერის ერთ-ერთი მნიშვნელობაა მეგრულში „დიდი სიმრავლე, მრავალრიცხოვნება“. შდრ. ერებაში „ერიანი, დიდი ოჯახის პატრონი“; ერები „ერობა, ერი, დედაბუდე, თესლ-ჯილაგი; საბადისი, დიდი რაოდენობა ხალხისა; ე. წ. ერიანი ოჯახი, დიდი, გაუყრელი ოჯახი დედამამიშვილებისა ან ბაბუიშვილებისა; დიდი ოჯახი მთელი თავისი ქონებით და საქონლით“ (ა. ქობალია). ჩვენ საგულისხმოდ მიგვაჩნია ერწყარის ა. ქობალიასეული განმარტება: „დიდი წყალი, წყალუხვი მდინარე“. შდრ. ერწყარო – წყარო ნავენახევაში.

ცორკა. ასე ეწოდება ზღვისპირა სამოვარსა და ყურეს გალისა და ოჩამჩირის რაიონების საზღვარზე. სახელდებული ობიექტი მოიცავს ოხურეიწყარის, იმავე ანარიწყარის 10-11 კმ-იან მონაკვეთს, ჯოჯობასთან შეერთების შემდეგ, შავ ზღვამდე. იგი ორ სოფელს – მეორე გაგიდასა და ნაგვალაუს შორის საზიარო ტერიტორიაა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოულ მეგრულში სიტყვა ცორიკა გამოიყენება ჩქერალის, მდინარის ჭორომებიანი ადგილის აღმნიშვნელად.

რამდენადაც ცორკად იწოდება ოხურეიწყარის//ანარიაწყარის გარკვეული მონაკვეთი, გამორიცხული არაა სახელწოდების დაკავშირება სწორედ მდინარის ჭორომებიანი ადგილის აღმნიშვნელ, ზემოთ დამოწმებულ სიტყვასთან. ამასთანავე, შესაძლებელია ტოპონიმი ცორკა „პატარას, მცირეს“ მნიშვნელობის შემცველი სიტყვიდან იყოს წარმომდგარი. ეს სიტყვაა ცორო. პატარა კალათას, ქოთანსაც ამ მხარეში ცორობეს ეძახიან.

ცუმური სოხუმის რაიონის ახალშენის თემში შემავალი სოფელია. მდებარეობს გუმისთის მარჯვენა ნაპირზე და სოხუმს 35 კმ-ით არის დაშორებული. ტყით დაფარული ადგილს ამავე სოფელში აგრეთვე ცუმური ჰქვია. კ. ბერულავას თქმით, უწინ აქ სვანებს უცხოვრიათ, ხოლო უკანასკნელ ხანებში – აფხაზებს. ცუმურის თემს ფეოდალი მარშანიები ფლობდნენ. ვაკესა და ხრამს შორის მოქცეულ ერთ შეღმართზე დგას გალავნით შემოზღუდული, ადრეფეოდალური ხანის მრგვალი ეკლესია. ფიქრობენ, რომ სოფელ ცუმურის სახელწოდება სვანურია: ცხუმურ - ცუმური (ვ. ზუხუბაია). გ. გასვიანის აზრით ასეთია: აფხაზეთში ცხუმ- ფორმიანი გეოგრაფიული სახელების გავრცელებაზე ცხუმის მახლობლად ტოპონიმ „ცუმურის“ არსებობაც მიუთითებს. ცუმური სიტყვას სამურზაყანოს მეგრულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1. ნაყოფიერი, მოსავლის ცვენის ადგილი; 2. პოხიერი, ტენიანი ნიადაგი (ა. ქობალია). სიტყვის ორივე მნიშვნელობა შეიძლება ტოპონიმის ამოსავალი ყოფილიყო.

## მაია ლომია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **„ეკონომიურობის პრინციპი“ ენაში და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციათა სახეები სპონტანურ მეტყველებაში**

სპონტანური მეტყველება წინასწარმოუმზადებელი ზეპირი მეტყველებაა. ზეპირმეტყველება ისეთი ფენომენია, რომელიც დამწერლობასაც უსწრებდა წინ; ამგვარი მეტყველების ქარგაზეა აგებული უმწერლობო ქართველური ენები, ქართული ენის დიალექტები, ამიტო-

მაც ინფორმაციის სტრუქტურირებისა და გადაცემისთვის სხვადასხვა ენობრივ საშუალებასა და სტილურ ხერხს იყენებენ; ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს მსჯელობის, საუბრის გაშლა მორფოლოგიურ-სინტაქსურ-ლექსიკური მონაცემების გამეორების ხარჯზე, მეორე შემთხვევაში კი პირიქით, კომუნიკაციის მიზნებისთვის საჭირო ხდება ეკონომიურობა, რაც ცალკეული ფორმისა თუ კონსტრუქციის შემადგენელი მონაკვეთის ელიფსისით გამოიხატება. ბუნებრივ ენებში „ეკონომიის პრინციპის“ არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა ამ საკითხზე დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა სპეციალისტებს შორის.

მოხსენებაში ქართველური ენების მასალაზე განიხილება რამდენიმე ტიპის კონსტრუქცია, რომლებიც ავლენენ ეკონომიურობის თვისებას ენობრივი საშუალებების რაოდენობრივად შემცირების ხარჯზე.

## ქეთევან მარგიანი

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### დალის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია – ეტიმოლოგიისათვის

პუბლიკაციაში წარმოდგენილია ახლებური გააზრება და ეტიმოლოგია ტოპონიმებისა – კოდორი<სვან. კვედ; გვანდრა<სვან. გვალ; დვალვა<სვან. უღვა. საენათმეცნიერო და, ზოგადად, ონომასტიკურ ლიტერატურაში არსებობს ჰიდრონიმ კოდორის სხვადასხვა ეტიმოლოგია: 1. კოდორი<სვან. კადარ „მშრალი“ (თ. მიბჩუანი), 2. კოდორი<სვან. სკოდო „ღრმა“ (ზ. ჭუმბურიძე 2007 წ., ქ. მარგიანი 1998წ.). წყაროს აღსანიშნავად სვანურში სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსებით გვხვდება ლექსემები: სარაგ, მაზჷგზ, წგდლდ, კვედ; ვფიქრობთ, ჰიდრონიმი კოდორი სწორედ ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს, როგორც კვლევებმა აჩვენა. კოდორი <სვან. კვედ „წყარო, მიწიდან ჩუხჩუხით ამომავალი წყალი“, რომელსაც მოგროვების მიზნით ქვიტკირსაც მოუშენებდნენ. ამით განსხვავდება კვედ სარაგ-ისაგან, რომელიც აუცილებლად ხის ღარით მომდინარე წყაროს სახელია“; კვედ არ დასტურდება თოფურია-ქალდანის სვანურ ლექსიკონში.

ა. ლიპარტელიანთან კი განმარტებულია შემდეგნაირად: კვედ – წყლის პატარა, გაუდინარი აუზი (ლიპარტელიანი 1994; გვ. 161). დვალვა <სვან. უღვა „უღელი“... გვანდრა<სვან. გვალ „ბაგა, ბოსელი“ (შდრ. გვალდ/გვალდერი); სტატიამი ასევე გაანალიზებული იქნება მიკროობიექტთა შემდეგი გეოგრაფიული სახელები: ნალჭამოლ, ლაყსგრ, ლაროკა, ლაშდღუიპრ, ლაშუმნა, ნალგანჭულ, ლაციქტარალ, ლამანჩულდარ, ლანესგრა, ლაჩხტარ, ლაჯმუნალ, ლაჯრებილარ, ლადრელ, ლაკუცინრ, ნამშიხვ, ლაწრექტილარ ... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დალის (resp. კოდორის) ხეობა ისტორიული მხარეა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში. ამ მხარეს ანტიკურ ეპოქაში მივსიანეთი ანუ მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – წებელდა-დალის საბოქაულო, საბოქოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. უადრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, კლუხორის, მარუხის, ნაჰარვის... უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. სვანური ტოპონიმით არაერთი ცნობილი მკვლევარი თუ ქართველოლოგი დაინტერესებულა. კვლევა-ძიების შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნებიც არის გაკეთებული: „ძველი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობები სვანების მრავალრიცხოვნების შესახებ ზღაპრული გაზვიადების ნაყოფი რომ არ არის, ამას თვალნათლივ ადასტურებს სვანეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმიკური მასალის ანალიზი... რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიკაში აშკარად შეინიშნება სვანური ენის კვალი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უცხოვრიათ, ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზეც. მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში. ამას მოწმობს იქაური ტოპონიმები: ხუმარი (შდრ. ცხუმარი), უშკალანი (შდრ. უშკულ) და სხვა...“ (ჭუმბურიძე, ლავროვი). დალის ხეობის ტოპონიმიკა ხასიათდება ენობრივი მრავალფეროვნებით და სახელდების სრულიად სხვადასხვა ასაკითა და ქრონოლოგიით, რამდენა-

დაც აქ გვხვდება როგორც ქართული (სვანური), ასევე აფხაზური, რუსული და გაურკვეველი ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები. უაღრესად საყურადღებოა აღნიშვნა ფაქტისა, რომ ანტიკური პერიოდისა და შუა საუკუნეების წყაროებში (აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, თეოფანე ჟამთააღმწერელი...) მოხსენიებულია კოდორის ხეობის არაერთი სვანურენოვანი (ან სვანური ეტიმოლოგიის) გეოგრაფიული სახელი – ფუსტა, ჩიხარი /ჩხალი/ ჩხალთა, სქიომარი, ლაგვანა, ტიბელეოსი, დარენი, ბოკერი/ბოგერი...

## ქეთევან მარგიანი-სუბარი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### I თურმეობითის (resp. შედეგობითის) უპრევერბო ფორმათა სპეციფიკა სვანურ ენაში

ექსპერიენცია ზმნის პერფექტული ფორმების სემანტიკური მახასიათებელია, რომლითაც მთქმელი გამოხატავს, რომ კონკრეტული მოქმედება განხორციელდა წარსულში თუნდაც ერთხელ (ან არასოდეს); აქცენტი თავად მოქმედების ფაქტზეა. მაგალითად: „მიჭამია“=„ნაჭამი მაქვს“, „შე<sup>1</sup>მიკერავს“=„შე<sup>1</sup>ნაკერი მაქვს (მე ის)“, „ვყოფილვარ“= „ნამყოფი ვარ“... ამ სემანტიკურ კატეგორიას აქციონალურ ან მოქმედების პერფექტსაც უწოდებენ.

ქართველურ ენებში საანალიზო კატეგორიის გამოხატვის ფუნქცია რეზულტატივებს აქვთ შეთავსებული, თუმცა სვანურსა და სალიტერატურო ქართულ ენაში ამ მხრივ სხვადასხვა ვითარებაა<sup>1</sup>;

ახალ ქართულში I რეზულტატივის გამოყენებისას ჩნდება უნახაობის სემანტიკა, ამიტომ ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემ-

---

<sup>1</sup> თანამედროვე ქართველურ ენათა შორის სვანური გამოირჩევა არქაულობით. ამავდროულად, როგორც უდამწერლობო ენას, ქართულთან შედარებით, სვანურს ახასიათებს მეტი ნიუანსური დეტალიზაცია მორფოლოგიზაციის (და არა კონტექსტის) საშუალებით, რაც საკვლევ საკითხთან მიმართებითაც გამოიკვეთა.

თხვევაში ექსპერიენციული იყოს, სხვა კონტექსტში კი ოდენ უნახაობას გამოხატავდეს; შდრ.: „ლევანს დათვის ხორცი არასოდეს უჭამია (= აქვს ნაჭამი)“ და „ლევანს სამსახურში წასვლის წინ საუზმე უჭამია (= თურმე ჭამა)“. „მე აქ ოდესღაც ვყოფილვარ (= ნამყოფი ვარ ან თურმე ნამყოფი ვყოფილვარ)“.

სვანურ ენაში I შედეგობითის ქართულისებური წარმოების უპრევერბო ფორმას უნახაობის გამოხატვის უნარი არა აქვს, ის ნებისმიერ კონტექსტში რეზულტატიურობას გამოხატავს ექსპერიენტულობასთან ერთად:

გიორგის მესტიას დემჩიქს ხ-ო-ჩდ-ა – „გიორგი მესტიაში არასოდეს ყოფილა=არის ნამყოფი“;

ხოლო თუ უპრევერბო ფორმამ უნახაობაც უნდა გამოხატოს (ექსპერიენციულობასთან ერთად), მაშინ ზმნა უსათუოდ დაირთავს -ენ სუფიქსს;

გიორგის მესტიას დემჩიქს ხ-ა-ჩდ-ენ-ა – „გიორგი მესტიაში არასოდეს ყოფილა თურმე = ყოფილა ნამყოფი“;

მაშასადამე, სალიტერატურო ქართული ენისა და სვანურის პერფექტულ, რეზულტატიურ უპრევერბო ფორმებს შორის სემანტიკურად ასეთი მიმართებაა: ქართულში ამ ზმნებს უნარი აქვთ გამოხატონ როგორც ექსპერიენცია, ისე – უნახაობა (არა ერთდროულად), მაგრამ ამის გასარკვევად ვრცელი კონტექსტია საჭირო. სვანურში კი, სალიტერატურო ქართული ენისგან განსხვავებით, რეზულტატივის უპრევერბო ფორმები ორ ჯგუფად იყოფა: ა) უსუფიქსო ფორმები, რომლებიც ნებისმიერ კონტექსტში მხოლოდ ექსპერიენციას გულისხმობენ და არა „თურმეს“; ბ) ენ'სუფიქსიანი ფორმები, რომლებიც ექსპერიენციას და უნახაობას ერთდროულად გამოხატავენ; ამ უკანასკნელთ არ შესწევთ უნარი, თუნდაც რაიმე კონტექსტში „თურმეს“ გაგებისაგან გათავისუფლდნენ.

ვფიქრობთ, რეზულტატიური მწკრივების პირველადი ფუნქცია სწორედ შედეგობითობასთან ერთად ექსპერიენციულობა უნდა ყოფილიყო, რითაც ისინი უახლოვდებოდნენ სტატიკურ ზმნებს, ხოლო მას შემდეგ, რაც აღნიშნულმა მწკრივებმა „უნახაობაც“ შეითავსეს, ჯერ კიდევ უპრევერბო ფორმებში სვანურმა ორი სემანტიკის განსახვავებლად საანალიზო ფორმებს -ენ სუფიქსი დაურთო.

## დამანა მელიქიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### იოანე პეტრიწი - რიტორი და დიდასკალოსი, „მამზევებელი და მადღევებელი ენისა ჩუენისა“

შუა საუკუნეების დიდი ქრისტიანი მოაზროვნის, იოანე პეტრიწის – „პლატონური ფილოსოფოსის“ მიერ თარგმნილი და კომენტირებული პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ ჩვენთვის არა მხოლოდ ფილოსოფიური და თეოლოგიური თვალსაზრისითაა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი: ეს თხზულება რიტორიკული მჭევრმეტყველებისა და პედაგოგიური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია.

პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლები“ პეტრიწისეული განმარტებითურთ გარდა იმისა, რომ (ნეო)პლატონური არსის სტრუქტურის ნათელი გადმოცემისა და მისი ქრისტიანული თვალსაზრისით ინტერპრეტაციის ბრწყინვალე ნიმუშია, თავისი აგებულებით, მსჯელობისა და ლოგიკური დასაბუთების წარმართვით, სწავლების გამართული და დახვეწილი მეთოდოლოგიით, მსმენელებისადმი ყურადღებითა და ემოციური დამოკიდებულებით, განსახილველი ურთულესი მეტაფიზიკური საკითხებისადმი ცოცხალი და გადამდები ინტერესით პედაგოგიური თვალსაზრისით სამაგალითო სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

იოანე პეტრიწის სახით არა მხოლოდ მაღალი რანგის ფილოსოფოსი და თეოლოგი, არამედ უბადლო რიტორი და პედაგოგი-დიდასკალოსი, „სულისა და გონებითს ხედვებში“ დახელოვნებული დიდი პიროვნება ჰყავდა საქართველოს, რომელმაც, მიუხედავად ქართველთა და ბერძენთაგან დევნისა, შურისა და მტრობისა, შეძლო ქართული ენა გაეტოლებინა ელინთა ენამზეობისათვის, ფილოსოფიურ განცდებში არისტოტელეს გასწორებოდა („ეარისტოტელურა“) და თავისი გვარ-ტომის შთამომავლებისათვის „ნივთისაგან მიუხეებელი ღვთისმეტყველება“ და „მდაბრიონთაგან მესხუე, გალექსებული ენა“ დაეტოვებინა.



მოხსენებაში ნაჩვენებია იოანე პეტრიწის, როგორც ჭეშმარიტი რიტორისა და „დიდასკალოსის“, სახე: მისი დამოკიდებულება შესასწავლი „ხედვებისა“ („თეორიისა“) და აუდიტორიისადმი - „მსმენელისა“ და „გამგონე“ (გონიერი) „მოსწავლისადმი“.

## მერაბ ნაჭყებია, თამილა ზვიადაძე

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### მასალები დასავლეთ საქართველოს (ზემო იმერეთი) ტრადიციული დარგობრივი ლექსიკიდან

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შრომითი საქმიანობის დროს იქმნებოდა ესა თუ ის პროფესიული დიალექტი, რომელთა ლინგვისტური მახასიათებლების შესწავლა საინტერესო სურათს იძლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარგობრივი ლექსიკის კვლევა. როგორც არნ. ჩიქობავა მიუთითებდა: „დარგობრივი ლექსიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ყოფა-ცხოვრებასა და შეხედულებებთან. მათში მიმდინარე ცვლილებები ხშირად გამოავლენს ფაქტებს, რომლებიც დიდ კულტურულ-ისტორიულ ინტერესს აღძრავენ და რომელთაც თანამედროვეობისათვის აქტუალური მნიშვნელობა აქვთ სალიტერატურო ენის გამდიდრების, ტერმინოლოგიის დამუშავების თვალსაზრისით (არნ. ჩიქობავა, 1975, 37). დარგობრივი ლექსიკა სრულ წარმოდგენას გვიქმნის დიალექტის თავისებურების შესახებ და თემატურ ჯგუფად თავს უყრის იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ კუთხის მცხოვრებთა საქმიანობასა და ცნობიერებასთან.

ზემო იმერეთში დასტურდება მრავალდარგოვანი კერამიკული წარმოება: მეჭურჭლეობა, მექვევრეობა – მეთონეობა, მეკრამიტეობა – მეაგურეობა. მასალის ანალიზი ცხადყოფს, ამ დარგების ხელსაწყო-ნაგებობათა, კერამიკულ ნაწარმთა სახეებისა და მათი გამოძერწვა - მოხატვის პროცესების ამსახველი ლექსიკა ჯერ კიდევ შემორჩენილია, რადგან შინამრეწველობის ეს დარგი აქ დღემდე არსებობს და შემოსავლის წყაროცაა. ლექსიკური ერთეულები გამოირჩევიან სიძველით,

თუმცა დროთა ვითარებაში შესაძლებელია მოხდეს ცვლილება. ენა მუდმივად ვითარდება, მუდმივ მოძრაობაშია. საზოგადოებრივ ყოფაში წარმოქმნილ ინფორმაციას მოსდევს ლექსიკური ცვლილებები ენაში. სიტყვამ შეიძლება დაკარგოს ზოგიერთი სემანტიკური კომპონენტი და ახალი შეიძინოს.

კვლევის შედეგად გამოიყო კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების რამდენიმე თემატური ჯგუფი, მოხდა მოპოვებული მასალის ეთნოგრაფიულ და ენათმეცნიერულ მონაცემებთან შედარება (ლ. ბოჭორიშვილი, ზემოიმერული კერამიკა: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VIII, 1956, გვ. 26 -27; ქეთევან ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, 1974; ქართული ენის დიალექტური კორპუსი, ძველი ქართული ენის ლექსიკონები, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი); დადგინდა მათი წარმომავლობა, მიმართება ძველ ქართულ ენასა და ქართული ენის სხვა დიალექტებთან.

ტერმინთა უმეტესი ნაწილი, როგორც აღმოჩნდა, ძველი ქართული ენის საკუთრებაა. ზოგი დიალექტმა შემოინახა არქაულივე სემანტიკით, ნაწილი გაფართოებული მნიშვნელობით გამოიყენება. ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება მნიშვნელობაშეცვლილი ლექსიკური ერთეულები, დასტურდება ქართველური ენობრივი ფორმებიც. მასალა იმდენადაა სანდო და საინტერესო, რამდენადაც ეყრდნობა ადგილობრივ მკვიდრთა მონათხრობს, შენარჩუნებული აქვს ბუნებრიობა, ფორმათა თავისებურება, რაც დიალექტოლოგიური კვლევისას განსაკუთრებით ღირებულია. სტატიაში წარმოვადგენთ ამ მასალის ნაწილს.

## **ნიკოლოზ ოთინაშვილი**

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### **სოფელ ძვილეთის ონომასტიკური მასალები**

სოფელი ძვილეთი მდებარეობს ფცისწყლის ხეობაში და ერთ-ერთი ძველი დასახლებაა. ვახუშტი ბაგრატიონის შრომას დართული სოფლების სიაში ის დასახელებულია, როგორც მძვივლეთი, ასეთივე ფორმითაა დატანილი 1745 წელს თავის მიერ შედგენილ რუკაზეც.

ასეთივე სახელითაა შეტანილი იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“.

ხეობისა და სოფლის შესასწავლად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა „რუისის საეპისკოპოსოს დავთარი“, რომელიც 1715 წელს შეადგინა რუისის ეპისკოპოსმა ნიკოლოზ მროველმა. ამ დროისათვის სოფელი დიდი ყოფილა და ორ - ზემო და ქვემო ძვილეთად არის აღწერილი. ზემო ძვილეთში ცხოვრობდნენ: როსაფ, სეხნია ტატიშვილები, ინდულაშვილი, მარკოზაშვილი, ფეხაშვილი, მახმადაშვილი, ლოლაძე, მახარობლიშვილი, იაველაშვილი, ვარძელაშვილი, ხუცისშვილი, კაკაშვილი, ჩუსტანიძე, ბედიანიძე, დათაშვილი, რაბიდაშვილი, ჯანგირაშვილი, ორი ოჯახი ჯავახი, მიქელაშვილი. ქვემოში ცხოვრობდნენ: ოთარ, ჯარდან, ონისიმე ტატიშვილები, გოგილაშვილი, ვიგრიშვილი. გულიაშვილი, ქიტუნაშვილი, გოგინაშვილი, გარეყანაშვილი, დულარიძე, იორდანაშვილი.

მთიელთა განუწყვეტელი თავდასხმების გამო მოსახლეობა დაიფანტა და ძველი გვარები თითო-ოროლა თუ შემორჩა. დღეს სოფელში ცხოვრობენ: ლალოშვილი, ოქროუაშვილი, გოგინაშვილი, ლობჯანიძე, ირემაშვილი, მულდარაშვილი, გოგიშვილი და რამდენიმე უცხოტომელის ოჯახი. სოფელი ოკუპირებულია უცხო ძალის მიერ.

ძველი ანთროპონიმებიდან დავადასტურეთ ოტიაანთ მიწები, რომლებიც ტატიშვილების საკუთრება იყო, ასევე ჯანაანთ მიწები, რომლებიც ირემაშვილებს ეკუთვნოდათ. კოტეს წყარო, რომელიც ასევე ტატიშვილი იყო და თედოაანთ სახნავი, ასევე ტატიშვილი.

დულარიძის მზვარე, რომელიც სოფლის დასავლეთის დაქანებას ეწოდება. დულარიძე ქვემო ძვილეთში ცხოვრობდა და კახეთში არიან გადასახლებულები. გოგინაანთ ვენახები. დაკავშირებულია ასევე ქვემო ძვილეთში მცხოვრები გოგინაშვილების გვართან. ჯანგირაანთ ტყე უკავშირდება ზემო ძვილეთში ადრე მცხოვრები ჯანგირაშვილების გვარს.

გვარის წარმოების დროს ძირითადად ჩნდება -ანთ სუფიქსი, რომელიც საკუთრებას გამოხატავს: ოქროუაანთ უბანი, გოგინაანთ უბანი, ლალოაანთ უბანი. ასევე -ანთ სუფიქსი გამოყენებულია შტოგვარების საწარმოებლად. სოსანაანთ კოტე, ოტიაანთ მიმა, ჯანიაანთ ვასო.

ტოპონიმებიდან აღნუსხული გვაქვს ოთხმოცზე მეტი ერთეული, რომელთაგან მეორე კომპონენტად წარმოდგენილია წყალი, წყარო, ხევი, მიწა. ხუთი წყარო, არჯოს წყარო, კოტეს წყარო, დათუნას ხევი, სოსას მიწები, აკანათის წყარო, წყარო ხევი, ლაჯიანი ხევი და სხვა.

## სალომე ომიამე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### სარწმუნოებრივი შრე

#### პარემიულ ერთეულთა შინაფორმაში

ქართული ენის პარემიოლოგიური ფონდი, რომელიც ხალხის მენტალიტეტისა და კულტურის შესახებ ცოდნის მდიდარი წყაროა, უხვად შეიცავს ერთეულებს, რომელთა შინაფორმაში სარწმუნოებრივი შრე იკვეთება. ხატოვან სიტყვა-თქმებში შენახული ქართველთა კონფესიურ კუთვნილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია სისტემურ ლინგვოკულტუროლოგიურ ანალიზს მოითხოვს. მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული შემდეგი საკითხები:

- პრეცედენტულ სახელთა შემცველი პარემიები;
- პრეცედენტულ სიტუაციაზე მიმანიშნებელი ერთეულები და ამ სიტუაციათა აქტუალურობა თანამედროვე ენის მატარებელთა კოგნიტიურ ცნობიერებაში;
- ქრისტიანულ დღესასწაულთა სახელები, როგორც დროითი ორიენტირები;
- მართლმადიდებელ ქრისტიანთა ქცევის ამსახველი სიტყვის მასალა;
- ქრისტიანობამდელი კვალი ქართულ პარემიებში.

## ინგა სანიკიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### კრებითი სახელისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი ქართულში

იმდენად, რამდენადაც გრამატიკული კლასიფიკაციების უძირ-  
თადესი და საკვანძო საყრდენი ფორმოზრივ-სემანტიკური ერთეულე-  
ბისა და მათი მარკერების გამოყოფა-გამოცალკეეების გზაა, ლოგიკუ-  
რია, რომ ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა სახელთა ის შინაარსობ-  
რივი ჯგუფი, რომელსაც სამეცნიერო აზრმა კრებითი სახელები უწო-  
და და რომლებიც რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის  
თვალსაზრისით ენის ფლექსურ დონეს უნდა მივაკუთვნოთ. მრავლო-  
ბითობის გამომხატველი ეს ჯგუფი თავისი მცირერიცხოვნობითაა გა-  
მორჩეული და ქართული ენის ლექსიკური ბანკის მხოლოდ პატარა  
სეგმენტს ქმნის, თუმცა, ვფიქრობთ, რომ წინადადებაში მისი სინტაქ-  
სური პოზიციების თავისებურებანი ანგარიშგასაწევია და დამოუკი-  
დებელ მეცნიერულ განხილვას მოითხოვს. მოხსენებაში ჩვენ კრებითი  
სახელებისა და შემასმენლის სინტაქსური შეკავშირების ერთ სახეს –  
შეთანხმებას – შევხებით.

დავიწყებთ იმით, რომ მე-3 პირში მდგომი კრებითი მნიშვნელო-  
ბის ქვემდებარის ნაცვალსახელური შესატყვისი ყოველთვის, უგამო-  
ნაკლისოდ მხოლოდობით რიცხვში დასმულ პირის ნაცვალსახელს შეიწყ-  
ობს, მაგალითად, „ხალხი გარბოდა“ პირდაპირპროპორციულია შე-  
სიტყვებისა - „ის გარბოდა“; ან: „ფარა ფერდობს შეეფინა“ უდრის  
კონსტრუქციას – „ის ფერდობს შეეფინა“. განსხვავებული მდგომარეო-  
ბა ფიქსირდება იმავე კრებით სახელებთან (ქვემდებარებთან), როდე-  
საც მათ 1-ლი და მე-2 პირის სტრუქტურაში გადმოვიყვანთ და შემას-  
მენლის რიცხვში შეთანხმებას დავაკვირდებით. ჯერ პირის ნაცვალსა-  
ხელთა ეკვივალენტებზე შევაჩეროთ ყურადღება და ვნახოთ, გაიმეო-  
რებენ თუ არა ისინი მე-3 პირისათვის არსებულ ენობრივ ნორმას. მარ-  
ტივად ვიტყვით, რომ არა! მაგალითისთვის კი მოვიყვანთ შემდეგს:  
„ახალგაზრდობა გავრბოდი“ შესატყვისია გრამატიკული სტრუქ-  
ტურისა - „ჩვენ გავრბოდი“ [1-ლი პირისათვის]; ასევე: „ახალგაზრ-

დობა გარბოდით“ ნიშნავს ენობრივ მოდელს: „თქვენ გარბოდით“ [მე-2 პირისათვის]. ნათელია, რომ ქვემდებარის პოზიცია კრებითი სახელის 1-ლი და მე-2 პირის შემთხვევაში არ იმეორებს მე-3 პირის სემანტიკურ და ფორმოზრივ გააზრებას და სხვაგვარად მოდელირდება.

კვლევამ აჩვენა, რომ 1-ლი და მე-2 პირის მონაცემები შეთანხმების სინტაქსური შეკავშირების თვალსაზრისითაც საყრდენ სტრუქტურებს ქმნის, რასაც ვერ ვიტყვით მესამე პირის შესატყვისი კრებითი ქვემდებარე-სუბიექტისა და შემასმენლის სინტაქსური ურთიერთობის კუთხით. ლოგიკის ამ დედუქციურ ხაზს, ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი სიცხადე შეაქვს დიაქრონიულ ანალიზში და კრებითი ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების მხრივ ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპს გამოყოფს. კერძოდ: I – უძველესს, როცა სამსავე პირში რიცხვში შეთანხმება უნდა ყოფილიყო; II – ძველი ქართულისას, როცა მე-3 პირის მდგომარეობა უძველეს ვითარებას ნაშთის სახით ინახავს, შერეულ სისტემას გვთავაზობს და შეთანხმების პრინციპს ცვლის, სემანტიკური, ანუ ლექსიკური მოდელიდან გრამატიკულ მოდელზე გადადის; და III - ახალი ქართული ენის ეტაპი, როცა მე-3 პირში მდგარი კრებითი ქვემდებარე არსებითად გამოირიცხავს შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებას.

## მედია სალიანი

*არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

### აწმყოს ფუძის წარმოებისათვის სვანურში (ფონოსემანტიკური მასალის საფუძველზე)

თანამედროვე სვანურში აწმყოს მაწარმოებელ მორფოლოგიურ ერთეულებად გამოყოფილია -ე, -ი, -ა და -0 სუფიქსები, რომელთა წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ ქართველ ენათმეცნიერთა (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ალ. ონიანი, გ. მაჭავარიანი, ნ. ნათაძე, მ. სუხიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნოზაძე, რ. ჭკადუა...) მიერ არა ერთი საყურადღებო თვალსაზრისია გამოთქმული, თუმცა მათი თემატურ სუფიქსებად მიჩნევა დღემდე საკამათოა.

მოხსენებაში საუბარი იქნება როგორც ოდენხმოვანსუფიქსიანი, ისე პრეფიქს-სუფიქსიანი ზმნების წარმოებაზე აწმყოში სხვადასხვა ფონოსემანტიკური (ხმიანობის, ხმაურის, სვლა/სიარულის, სმის, ჭამის, ცემის, ყურების, ბუნების მოვლენების...) ჯგუფების მიხედვით და გზადაგზა წარმოდგენილი იქნება მსჯელობა აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსების შესახებ.

ოდენხმოვანსუფიქსიანი ზმნები აწმყოში, ფორმის თვალსაზრისით, რამდენიმე სტრუქტურულ მოდელს ქმნიან:

● *ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ე სუფიქსი*

მაგ.: ბეკრ-ე „ბლუკუნებს“, ყოჰ-ე „კრიახებს“, ჟუნტ-ე „ტირის განუწყვეტლივ“, ტრელ-ე „მხიარულობს“, ჰუნბ-ე/ჰუნბ-ე „ქმენს“, შუნგ-ე „ქმენს“, ბანტყჲრ-ე „ბურტყუნებს/ბუზღუნებს“, ყუნედლ-ე „ბურტყუნებს“, კასბ-ე „ტლიკინებს“, ქეშლ-ე „ქომინებს“...

● *ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ი სუფიქსი*

მაგ.: ფურსტუნ-ი „ჩურჩულებს“, ღელ-ი/ღელ-ი „იღრინება“, ჰყელ-ი „კიკინებს“, ჰაჟჰაჟ-ი/ჰაჟჰაჟ-ი „ბევრს ლაპარაკობს“, შოქმოქ-ი „ბევრს ლაპარაკობს“, კვრკნ-ი „კისკისებს“, ბანტყჲლ-ი „ბურტყუნებს“, ხვრტნ-ი „ხროტინებს“, ბვრზეკ-ი „ბუზღუნებს“, თვრყნ-ი „ხითხითებს“...

● *ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ა სუფიქსი*

მაგ.: ხაჩ-ა „ეცინება“, ხაციცაჟ-ა „მიმტერებულია“, ხაბინჯღ-ა „პატარა ბიჭი დგას, ზის“, ხაყუნყჲჟ-ა/ხაბინყჲჟ-ა „ზის დიდი აღნაგობის ადამიანი უსაქმურად“, ხაბრინგ-ა „უაზროდ დგას“, ხათქლიფ-ა „სისხლი ანთხევიან“...

ოდენსუფიქსური წარმოების პარალელურად სვანურში აწმყოს ფუძის მაწარმოებლად დასტურდება, ასევე, პრეფიქს-სუფიქსური წარმოების რამდენიმე მოდელიც:

● *ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ე სუფიქსი*

მაგ.: ა-ფხკვრ-ე „ფხაკუნობს“, ა-კჟეთხ-ე „წვეთავს; ყრის“, ა-შუნ-შხჟ-ე „სრუტუნებს“, ა-წაკტ-ე „კაპასობს“, ა-ჰჰჟჟ-ე „ბევრს ლაპა-

რაკობს“, ა-უჩხ-ე „წვიმს“, ა-შდუ-ე „წვიმს“, ა-წგფხარ-ე/ა-წიფხარ-ე „უინჟლავს“, ა-ხერს-ე „ძლივს სუნთქავს“...

● ა- პრეფიქსი + ზმნის ძირი (სემანტიკური ბირთვი) + აწმყოს მაწარმოებელი -ი სუფიქსი...

მაგ.: ა-მგრტყენ-ი „ხმაურით ჭამს“, ა-ფხერკენ-ი „ფხაკუნობს“, ა-პინსლჷჷ-ი „თოვს (წვრილად)“, ა-ფინთლჷჷ-ი „თოვს (ხვავრიელად)“, ა-ყერთენ-ი „ხარხარებს, ტირის (უშნოდ)“, ა-ბურყუნ-ი „ბუტბუტებს“...

ცხადია, აწმყოს ფუძის საწარმოებლად სვანურში სხვა ტიპის მოდელებიც დასტურდება, რომელთა შესახებ დაწვრილებითი ანალიზი წარმოდგენილი იქნება მოხსენებაში.

## თედო უთურგაიძე

*არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

### სამპირიან პირცვალეზადობიექტებიან ზმნათა უღლებისათვის

სხვა ენებზე მთარგმნელი სისტემების შესაქმნელად არსებითი მნიშვნელობა აქვს ენის ფორმაცვალეზადი მეტყველების ნაწილების გრამატიკულ ფორმათა სრულად გამოვლენას და შესაბამისი წარმომქმნელი მოდელის შექმნას.

მოხსენება ეხება ისეთ სამპირიან ზმნებს, რომელთაც პირცვალეზადი პირდაპირი ობიექტიც აქვთ. ამ ტიპის ზმნების პარადიგმებში გამოიყოფა ორი ჯგუფი, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავდებიან პირუცვლელი აქტანტით: ერთ ჯგუფში პირუცვლელია პირდაპირი ობიექტი, მეორეში – ირიბი ობიექტი.

ჩვენი სისტემის პარადიგმები პირუცვლელ ობიექტთა I და II პირებსაც აერთიანებენ და გამოხატული არიან გაუდიფერენცირებელი თავი ნაცვალსახელით. ამ გზით ზმნურ ფორმებში იდენტური რომლობის სუბიექტი და ობიექტიც (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი) ბუნებრივია ( $SiO_1^d$  ან  $SiO_1^{ind}$  და სხვა). მსგავსი ტიპის ფორმებს არცთუ იშვიათად ვხვდებით ქართულ მწერლობაში, მაგალითად:

„არ ეგების, ამას იქით, თუმცა თავი არ გამონე:

არ შენ მოგეც თავი ჩემი, დაგაბნივე, დაგალონე“ (ვტ. 253, 2-3).



„თავი“ ამ ფორმებში პირდაპირი ობიექტია, რომელიც შესაბამის კონვერსიულ პასივებში აქტივის სუბიექტის რომლობისა ხდება: მე თავს დაგამონებ - მე დაგემონები, „თავს“ მესამე პირად ვერ მივიჩნევთ.

## ნონა ქეცბაია

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### ეზო-კართან დაკავშირებული ლექსიკისათვის მეგრულში

სამეგრელოში დღის დიდ ნაწილს ატარებენ ეზოში, ღია ცის ქვეშ. აქ ისინი ისვენებენ, იკვებებიან და სძინავთ კიდეც, ე. ი. წამყვანი მათი კარ-მიდამოა, შესაძლოა, ამითაც აიხსნება ისე იდეალურად მოვლილი ეზოები, როგორც აქ იციან (არქანჯელო ლამბერტი).

სახლი და დამხმარე ნაგებობანი დგას შემოკავებული მიწის ნაკვეთზე, რომელსაც მეგრულად ოზე „ეზო“ ჰქვია (ქართული ეზო მეგრულში ოზე ფორმით დამკვიდრდა). საინტერესოა, რომ ქართული ენის ინგილოურსა და აჭარულ დიალექტებშიც ეზოს აღმნიშვნელი ტერმინია ოზო.

ადგილ-მამულის გარშემო სარებზე წნელით მოწნული ან მწკრივად ჩარჭობილი სარებით შემოვლებული იყო ზღუდე, რომლის აღმნიშვნელი ტერმინი მეგრულში არის ლობერი „ლობე“. მისი სინონიმებია : ღანდა, ლეზობა, ხარხი.

ქვის ლობე-ყორის აღსანიშნავად გვხვდება სხვადასხვა ლექსიკური ერთეული: ყორე, ხიბილი//ხიბირი, ხურგი//ხორგი. „ცოცხალ ლობეს“ მეგრულში რტყილი//ნორტყი ერქვა.

მეგრულში ლობის აღმნიშვნელი სიტყვები წარმომავლობის მიხედვით შეიძლება დაიყოს საერთოქართველურ, საკუთრივ მეგრულ და ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებად.

საკუთრივ მეგრული ლექსიკური ერთეულია რტყილი, რომელიც რტყულა „გადაწვანა, გადახლართვა“ ზმნის წარსულდროიანი მიმღეობაა.

საერთო ქართველური ლექსიკური ერთეულებია: ხორგი, ხიბილი, ყორე.

ხიბილი ფორმაში გამოიყოფა ხიბ- ფუძე, ეს ფუძე შემონახულია ტოპონიმშიც ხიბ-ულ-ა, ქართული ენის გურულ დიალექტში გადა - ხიმ - ვ -ა ნიშნავს „შეღობვას“. სავარაუდოდ, ხიბ -/ხიმ- ძირები საერთო წარმომავლობისაა, რომლებიც მიღებულია საერთოქართველური ძირისაგან ჯიუ „შეღობვა, გადაღობვა“(მ. ჩუხუა).

მეგრულში ხორგი//ხურგი ეტიმოლოგიურად უკავშირდება ქართულ ხერგ- ძირს („ხერგილი“). საერთოქართველური ძირი უნდა ყოფილიყო \*ხარგ-, უმლაუტის შედეგად მიღებულია ქართული ხერგ- ი, რომელსაც შეესატყვისება ზანური ხორგ- ძირი.

მეგრული ყორ- ძირის შესატყვისად დასახელებულია ქართული ყორ- და სვანური ყორ- ძირები („კარი“, „ეზო“) (ჰ. ფენრიხი, ზ. სარ- ჯველაძე), ისტორიული ჯორ-ე არქექტიპიდან განვითარდა თანამედ- როვე ჯული-ა (ზ. სვან. ჯული-ა „ყორე“).

აფხაზურ ენაში ღობის აღმნიშვნელი ტერმინია ორფი, რომე- ლიც მეგრულში ღანდა ფორმით დამკვიდრდა. სესხებისას მეგრულში ამ სიტყვის წინ ღ-ს სახით შენარჩუნებულია აფხაზურში დაკარგული უკანა რიგის თანხმოვანი.

## რამაზ ქურდაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### მაზალო სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

სიტყვა *მაზალო ქართული* ენის განმარტებითი ლექსიკონის მი- ხედვით ორგვარად განიმარტება: ერთი განმარტებით მოძველებული სიტყვაა და კოხტას, სასიამოვნოს ნიშნავს; მეორე განმარტებით კი ახა- ლი ვულგარული სიტყვაა და უცნაურს, ახირებულს ნიშნავს.

ჩვენი ვარაუდით, ამ სიტყვაში *მაზალ-* ძირი და *-ო* სუფიქსი გა- მოიყოფა. თვით *მაზალ-* ძირი სავარაუდოდ ებრაული *მაზალ // მაზელ* სიტყვისაგან უნდა მომდინარეობდეს, რაც იღბალს ან ბედნიერებას აღ- ნიშნავს. ამ სიტყვას ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც ვხვდებით, ისეთ გამოთქმებში, როგორებიცაა: „*კაი მაზალის კაცია!*“, „*რა მაზალის*

კაცია?!“; იტყვიან იღბლიან, ქუდბედიან ადამიანზე; ანდა „კაი მაზალი დაგყოლოდეს!“, ეს დალოცვაა, ამით კარგ ბედ-იღბალს უსურვებენ ვინმეს.

ჩვეულებრივ ეს სიტყვა გვხვდება ებრაულ გამოთქმაში „მაზალ ტოვ // მაზელ ტოვ“. ტლვ ნიშნავს კარგს. ეს ებრაული გამოთქმა ადამიანის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენის მისალოცად გამოიყენება.

## მედეა ლლონტი

*არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

### ქართულ პირთა სახელების მართლწერისათვის (ინიციალები ქართულში)

1. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა გამოთქმული თვალსაზრისი (*ცირა კალაძე, სახელ-მამისსახელობით მიმართვის შე-სახებ ქართულში; კრებულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხ-ები, წიგნი მეექვსე, თბილისი, 1984, გვ. 309-329*), რომ ზოგიერთი აღმო-სავლური და ევროპული ენების მსგავსად, პიროვნების მოხსენიების საუკუნოვანი ქართული ეტიკეტის ფუნქციას შეადგენდა ამ პიროვნე-ბის გენეალოგიის წარმოჩენა (ევდემონ ჩხეტის ძე, საღირ კოლონკელის ძე...). ამასთან, ამგვარი მოხსენიება არც მიმართვისას გამოიყენებოდა და მას არც ის სოციალური ან ასაკობრივ-ავტორიტეტული ფუნქცია ენიჭებოდა, რომელიც მე-16-17 საუკუნეებში შეიძინა მამის სახელით და სახელ-მამისსახელობით მიმართვის რუსულენოვანმა ფორმებმა.

2. საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულ-ტურული ურთიერთობის დამყარების შემდეგ, მე-18 საუკუნიდან მე-20 საუკუნის დასასრულამდე, ქართულ ზეპირ მეტყველებასა და ორი-გინალურსა თუ თარგმნილ მწერლობაში საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი რუსულენოვანი მიმართვის ფორმებმა: „ივან ვასილიჩი“, „ანა ილინიშნა“, „ზაზაევიჩ“, ასევე, პიროვნების მოხსენიების ხსენებული ქართული ისტორიული მოდელის მისადაგებით გაქართულებულმა: „თორნიკე გიორგის ძე“, „ნინო დავითის ასული“.

3. ქართულში სწორედ ამ ტიპის რუსულენოვან ფორმებს შემოკვდა და დაინერგა სახელისა და მამის სახელის ინიციალებით აღნიშვნა (შ. რუსთაველი, ილ. ჭავჭავაძე, ავ. წერეთელი...), რომელიც ისევე არაბუნებრივი და შეუწყნარებელია ქართული ენისათვის, როგორც მამის სახელით და სახელ-მამისსახელობით მიმართვა.

ამ პოზიციას მხარს უჭერს: ა) პიროვნების მოხსენიების ხსენებული ქართული საუკუნოვანი ეტიკეტის ფუნქცია (ადამიანის გენეალოგიის დასახელება: იოსებ დავითისი, მარიამ იაკობისი...); ბ) პიროვნების ოდენ სახელით მიმართვის ასევე ქართული საუკუნოვანი წესი (ნუ გეშინინ, ზაქარია! უფალო ილია, ბატონო დიმიტრი,...); გ) ლოცვებსა და აღაპის წიგნებში მრევლის ოდენ სახელით მოხსენიება (შეიწყალებ მონად ანუ მდევალი ღმრთისად [სახელი]...); დ) წმინდანთა და გამორჩეულად ღვაწლმოსილ მამულიშვილთა ოდენ სახელით მოხსენიება მადლიერი ერის მიერ (წმიდა იოანე, ღირსი გაბრიელი, ილია, აკაკი, ვაჟა...); ე) დაქარაგმების წესი ოდენ „საუფლო“ პირთა სახელებისათვის (ი~ო=იესო, ქ~ე=ქრისტე...); ვ) რუსთველის შეგონება: „სჯობს სახელისა მოხვეჭა...“.

## მზექალა შანიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### რამდენიმე მხატვრული სახე ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში

მოხსენებაში განხილულია რამდენიმე მხატვრული სახე, რომლებიც საერთოა ძველ ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში. ეს სახეები ძირითადად მიეკუთვნება ელინოფილურ ეპოქას და უმეტეს შემთხვევაში ქართულში შემოსულია ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლების გავლენით, რაც სავსებით შეესაბამება იმდროინდელ ლიტერატურულ პრაქტიკას.

## მანანა ჩაჩანიძე, ნინო ხახიაშვილი, ნატა რაზმაძე

*არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

### სინონიმური რიგის საკითხისათვის ქართულ ლექსიკოგრაფიაში

ქართული ენის სინონიმის ლექსიკოგრაფიის საკითხებს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა თვალსაზრისით არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიემდვნა. ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის ინტერესებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, საგანგებო მსჯელობის საგნად წარმოგვედგინა სინონიმური რიგის საკითხი ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

სპეციალური ლიტერატურის თანახმად, სინონიმის განსაზღვრისას მთავარია ერთგვარი საგნობრივი მიმართების („მიმართება საგანთან“) არსებობაზე მითითება, სხვა – მეორეულია (მხედველობაში გვაქვს კონოტაცია) (ბ. ფოჩხუა, მ. ჭაბაშვილი, ლ. ნოზაძე). სიტყვის მიმართება საგანთან, აღსანიშნავია, არის მისი მნიშვნელობა, რაც ლექსიკოგრაფიულად განმარტებაში უნდა იყოს წარმოდგენილი. მაშასადამე, სინონიმურ რიგს შეადგენს სემანტიკურად (საგნობრივი მიმართების მიხედვით) იგივეობრივი ისეთი სიტყვები, რომლებიც სინქრონიულად იხმარება ერთ ენობრივ (resp. დიალექტურ) წრეში, აქვთ საერთო დისტრიბუცია და შესწევთ უნარი კონტექსტებში ურთიერთჩანაცვლებისა.

სინონიმური რიგის საკითხი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს სიტყვანის (ლექსიკური ბაზის) საკითხს. საკუთრივ სინონიმური ერთეულები და მათი წარმოდგენის ფორმა ლექსიკონებში ცალსახად უკავშირდება ლექსიკონის შედგენის პრინციპებს: მასალის მეცნიერულ ანალიზსა და მოწესრიგებას. ამ თვალსაზრისით:

I. აქამდე გამოცემული ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონები (ა. ნეიმანი, I გამოცემა – 1951 წ., II გამოცემა – 1961 წ.; კ. ჯორჯანელი, 2003) შეიძლება შეფასდეს, როგორც მხოლოდ სალექსიკონო მასალები, რადგან: ა) ამ ლექსიკოგრაფიულ შრომებში ლექსიკური მასალა შეტანილია უსისტემოდ; ბ) შესაბამისად, არაკვალიფიციურია წარმოდგენილი სინონიმური რიგები; გ) სინონიმური რიგები უმეტესად განუმარტავია; დ) სინონიმურ რიგებს სათანადო დოკუმენტირება არ ახლავს ან საილუსტრაციო მასალა უსისტემოდაა წარმოდგენილი.

II. ქეგლის ბაზაზე მუშავდება ახალი „ქართული ენის სინონიმთა ლექსიკონი“ (არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში), რომელიც ზემოთ დასახელებული ლექსიკოგრაფიული შრომებისაგან ძირეულად და პრინციპულად განსხვავდება არა მხოლოდ ჩამოთვლილ ხარვეზთა (უპირველესად, სინონიმურ რიგთა) დაძლევის გამო, არამედ სხვა მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლეებით.

## გიორგი ცოცანიძე

*არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი*

### ქეთელაურიდან ნასკვაურიძემდე

ანუ

**ზოგი რამ, რაც იკითხება ვაჟა-ფშაველას სტრიქონებს მიღმა**

1. მოხსენებაში ორ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება: ა) რა იყო ალუდას თემიდან მოკვეთის ნამდვილი მიზეზი და ბ) ალუდას ჯანყმა უკვალოდ ჩაიარა, თუ დააჩნია რაიმე კვალი საზოგადოების ცნობიერებას.

2. მოხსენებაში წარმოდგენილია იმის ჩვენების ცდა, რომ ალუდას თემიდან მოკვეთის მიზეზი არ ყოფილა მოკლული მტრისთვის მარჯვენა ხელის მტევნის არმოკვეთა, რადგან იგი არ წარმოადგენს ამ საზოგადოების შეუვალ ადათებრივ კანონს. მიზეზი სხვა, უფრო მძიმე დანაშაულია: ალუდამ „რჯული აიგდო“ – მან თვითონ დაკლა ხატის კარზე სამსხვერპლოდ მოყვანილი კურატი, რაც მას არამც და არამც არ ეპატიება: მთიელთა შეუვალი ადათებრივი წესით ამის უფლება მხოლოდ ხატის დეკანოზს აქვს.

3. ალუდას მიერ თემის ორგანიზმში ჩათესილ ერეტიკულ ბაცილას უკვალოდ არ ჩაუვლია – უფრო გვიანდელ ხევსურულ საზოგადოებაში მოკლული მტრისთვის ხელის მოკვეთის ჩვეულება გადავარდნილია, რასაც ადასტურებს სავარაუდოდ თუშეთში შექმნილი ხალხური ლექსი ვინმე რომიონ ხევსურ ნასკვაურიძეზე.

## ანა ხარანაული

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### სეპტუაგინტას ტექსტის ტიპები და ქართული თარგმანი

რატომ განსხვავდება ერთმანეთისაგან წმიდა წერილის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში? როდის იცვლება ტექსტი? მანამ, სანამ წერილობით დაფიქსირდება თუ შემდგომაც? ვინ ცვლის ტექსტს? რამდენად გააზრებულია ეს ცვლილებები?

როდესაც წმინდა წერილის ტექსტის მრავალფეროვნებაში გარკვევა მინდა, წყაროს წარმოვიდგენ, რომელიც ერთი სათავიდან გამოდის და სხვადასხვა კალაპოტით აგრძელებს გზას. ნაკადები შორდებიან ერთმანეთს, გზადაგზა სხვა სათავიდან გამომავალ წყლებს იერთებენ, ისევ ერთდებიან და ისევ იყრებიან, მსხვილდებიან და პატარავდებიან, ზოგი (უმეტესობა) იკარგება.

ხელნაწერებმა, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, თითქოს ამ ნაკადების გრძელ გზაზე რომელიმე მონაკვეთი გაყინეს. ქართული თარგმანებიც ამ დინების ნაწილია, რომელიც წმიდა გარდამოცემის წერილობით ტექსტად ქცევის და შემდეგ ამ ტექსტის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ინახავს და მისი სხვადასხვა, ცნობილ თუ უცნობ მახასიათებლებს ასახავს.

## მარიკა ჯიქია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### თურქიზმების გავრცელების დინამიკა ქართველურ ანთროპონიმიაში

ქართველურ ანთროპონიმიაში მოკვლეული 400-ზე მეტი თურქული წარმომავლობის ერთეული სხვადასხვა თურქულ ტომებთან – ჰუნებთან, ხაზარებთან, პაჭანიკებთან, ყივჩაღებთან, ოსმალებთან, აზერბაიჯანელებთან, ყუმუხებთან, ყარაჩაელებსა და ბალყარებთან –

ურთიერთობის შედეგია. XVI საუკუნიდან ვრცელდება ანატოლიური თურქული სახელები.

აზერბაიჯანულიდან შემოსული ანთროპონიმები ფიქსირებულია XVII–XVIII საუკუნეების იურიდიულ დოკუმენტებსა და სტატისტიკურ აღწერილობებში.

ჩრდილო-კავკასიელ თურქ ტომთა საკუთარი სახელები ხშირია სვანურსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. თურქიზმების ადაპტაცია საკუთარ სახელებში ხდება მანთროპონიმებელი -ა სუფიქსით, ხოლო გვართა ფუძეებში – საგვაროვნო ფორმანტებით: -შვილი, -ძე, -ია, -იანი, -ური: ქუჩუკა < თურქ. küçük ‘პატარა’ და ქუჩუკაშვილი, უზუნა < uzun ‘გრძელი’ და უზუნაშვილი, შიშმანა < şişman ‘მსუქანი’ და შიშმანაძე და სხვ. ქართულ პატრონიმულ სახელებში გვხვდება იდენტური შინაარსის სიტყვების შემცველი გვარები: პატარიძე, მსუქნიშვილი, გრძელიძე და სხვ. XIX საუკუნიდან მოყოლებული მკვეთრად იკლებს თურქული წარმომავლობის ანთროპონიმთა შემოსვლა, ხოლო დღეს ქართველთა ონიმიას გვარებში სამუდამოდ დამკვიდრებული თურქული ლექსემების გვერდით პირის სახელთაგან მხოლოდ ელგუჯა, თემური, თენგიზი, ხათუნა, იშვიათად ასლანი და ყაფლანი შერჩა. თურქიზმების არსებობას ქართულ ყოფაში რეალური ისტორიული ვითარება განსაზღვრავდა.